პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 169 (6224)

1978 წ. 29 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქდესის ცნობა

# კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი

1978 წლის 26 აგვისტოს 17 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-31“.

საბჭოთა კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი ბიკოვსკი და მკვლევარი კოსმონავტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ზიგმუნდ იენი.

„სოიუზ-31“ ხომალდის ეკიპაჟის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეპირაპირება „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსთან და იქ კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობა კოსმონავტებთან კოვალიონოკთან და ივანჩენკოვთან ერთად, რომლებიც კოსმოსში მუშაობენ 1978 წლის 15 ივნისიდან.

კოსმონავტები ბიკოვსკი და იენი თავს კარგად გრძნობენ, ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

„სოიუზ-31“ ხომალდის ეკიპაჟმა დაიწყო დასახული ამოცანების შესრულება.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტებითურთ „სოიუზ-31“ კოსმოსური ხომალდის გაშვება, რომელიც განხორციელდა ისტორიული მოვლენის — პირველი გერმანული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის 30 წლისთავისათვის მზადების პერიოდში, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. ეს ფრენა მოასწავებს ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს „ინტერკოსმოსის“ პროგრამით მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ვრცელი გეგმის თანამიმდევრული რეალიზაციის გზაზე, რაც ითვალისწინებს კოსმოსური სივრცის ერთობლივ კვლევას მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. სოციალისტური თანამეგობრობა მსოფლიოს უჩვენებს უანგარო ინტერნაციონალური თანამშრომლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების საფუძველზე მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის შესწავლისა და გამოყენების მაგალითს.





# თბილისელ მესტენდურეთა „ოქრო“

## სროლა

სვერდლოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა სტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე შესანიშნავად იასპარეზა „ლოკომოტივის“ ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ორი თბილისელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ტ. ქლენტი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. იმნაიშვილი იყო.

რკინიგზელებმა 600 შესაძლებლიდან 586 ქულა მოაგროვეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

ადგილიდან სროლაში ოქროს მედლები წილად ხვდათ არმიელ მესტენდურეებს — 579.

* * *

ხურათებზე: ტ. ქლენტი და თ. იმნაიშვილი.

## კრივი

კრასნოიარსკში დამთავრდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი კრივში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნედელიას“ პრიზის — „ბროლის ხელთათმანის“ სამგზის მფლობელი, მოსკოველი ე. გორსტკოვი და მისი თანაქალაქელი მ. სუბოტინი. გორსტკოვმა მოიგერია შედარებით ახალგაზრდა მეტოქის აზარტული შეტევები, ხოლო მესამე რაუნდში ერთხელ განდა რინგის ბატონ-პატრონი. გორსტკოვის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. იგი ქვეყნის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ასეთი წარმატება მხოლოდ წარსულში შესანიშნავ საბჭოთა მოკრივეს ნ. კოროლიოვს ჰქონდა.

## რაგბი

კვირას განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი რაგბიში. მოსკოვში ორი მატჩი გაიმართა. ადგილობრივი „სლავა“ მასპინძლობდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „ლოკომოტივს“. სტუმრებმა შესვენებამდე 2 საჯარიმო ზუსტად დაარტყეს (კილასონია) და პირველი ტაიმი მოიგეს — 6:3, მაგრამ შესვენების შემდეგ იმავე კილასონიამ ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა. საბოლოოდ ფრე — 6:6.

მოსკოვის „ფილისა“ და კიევის „ავიატორის“ შეხვედრაში შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორებმა — „ფილის“ სპორტსმენებმა მშრალი ანგარიშით (13:0) გაიმარჯვეს.

## ჭიდაობა

მეხიკოში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. უძლიერესი ფალავნის ტიტულები მოიპოვეს მოსკოველმა ს. კორნილაევმა (48 კგ), კიეველმა ა. ბელოგლაზოვმა (52), იაპონელმა ხიდეაკი ტომიამამ (57), მახაჩყალელმა ვ. იუმინმა (62), კიეველმა პ. პინიგინმა (68), ამერიკელმა ლ. კემპმა (74), მახაჩყალელმა მ. არაცილოვმა (82), გდრ-ის წარმომადგენლებმა უ. ნოიპერტმა (90), ჰ. ბიუტნერმა (100) და ორჯონიკიძელმა ს. ანდიევმა (მძიმე).

ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მახაჩყალელმა ბ. იბრაგიმოვმა (57), მოსკოველმა ი. პროკოპჩუკმა (90) და ლ. თედიაშვილმა (100). „ბრინჯაო“ წილად ხვდა კიშინიოველ პ. მარტას (74).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირის ნაკრები. (საქდესი).

## ცხენოსნობა

კიევში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში (კონკური და გახედნა). დაბრკოლებათა გადალახვაში სსრ კავშირის თასი მოიპოვა „სპარტაკის“ (ა. შჩერბა, ა. გოგინი, ვ. ჩუკანოვი) გუნდმა. „დიდი პრიზი“ გახედნაში მოიპოვეს შეიარაღებული ძალების (მოსკოველები ბ. კონკოვი და მ. კოპეიკინი) სპორტსმენებმა. კოპეიკინმა გაიმარჯვა პირად ჩათვლაშიც.

## მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფლის რაინდთა“ დიდი შეკრება

„სპორტის დედოფალი“ კვლავ უხმობს თავის „რაინდებს“ — მორბენლებს, მხტომელებსა და მტყორცნელებს — 29 ქვეყნის ათასამდე სპორტსმენს, რომლებიც პრაღის სტადიონზე ერთმანეთს შეებრძოლებიან ევროპის XII ჩემპიონატის პრიზებისთვის. პირველობა დღეს იწყება და 3 სექტემბერს დასრულდება. მის პროგრამაშია 40 სახეობა, უფრო მეტი, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებზე.

ეს არის კულმინაცია წლევანდელი უჩვეულოდ „ცხელი“ მძლეოსნური სეზონისა, რომელმაც უკვე ორ ათეულზე მეტი მსოფლიო რეკორდი მოგვიტანა. ამ მიღწევათა უმეტესობა ევროპის სტადიონებზე „დაიბადა“, მათ შორისაა ისეთებიც, რომლებსაც მცოდნე სპეციალისტები „ფანტასტიკურის“ კატეგორიას მიაკუთვნებენ.

ასეთია 80 მეტრს იქით უროს ტყორცნა. ამ ზღვარს ჯერ მოსკოველმა ბ. ზაიჩუკმა გადააბიჯა, შემდეგ კ.-ჰ. რიმმა (გფრ), აი, მძლეოსნობის შეუნელებელი პროგრესის საუკეთესო მაგალითი: საკმარისია ერთმა სპორტსმენმა მანამდე მიუწვდომლად მიჩნეულ ზღვარს გადააცილოს, რომ მას სხვებიც მიჰყვებიან.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში რ. აკერმანმა (გდრ), რომელმაც ქალთა შორის პირველმა შეძლო 2 მეტრს გადავლებოდა, იტალიელ ს. სიმეონის თითქოს ხელფეხი გაუხსნა — დაიბადა კიდევ ერთი რეკორდი 201 სმ.

წინა ოლიმპიადაში სიგრძეზე ხტომაში ქალები ძალიან მიუახლოვდნენ სანატრელი შვიდი მეტრის ზღვარს, მაგრამ მხოლოდ მიუახლოვდნენ. ამ დღეებში კი 25 წლის ვილნიუსელმა ვ. ბარდაუსკიენემ შეძლო ამ ზღვარის გადალახვა და 707 სმ-ზე გადახტა. 19 წლის ზაპოროჟიელი ვ. იაშჩენკოს მიერ თბილისში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (234 სმ) ხომ ბევრზე მეტყველებს.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ ევროპაში უძლიერესის ტიტულისთვის დავა კვლავაც ახალ რეკორდებს მოგვიტანს.

კონტინენტის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის მებრძოლთა შორის სხვებთან შედარებით გაცილებით კარგად გამოიყურებიან გდრ-ისა და სსრ კავშირის კოლექტივები. საუკეთესო მძლეოსანთა სათავეში, განსაკუთრებით ქალთა შორის, უცვლელად დგანან გდრ-ის ნაკრების წარმომადგენლები. ვინ შეძლო წლეულს 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენზე მ. ჰერ-ელსნერზე სწრაფად რბენა? მხოლოდ მან მოახერხა ამ მანძილის უფრო ჩქარა გარბენა, ვიდრე ელექტროწამზომი 11 წამს დაითვლიდა. მ. კოხმა ერთი ზაფხულის განმავლობაში 200 და 400 მეტრზე რბენაში ოთხჯერ შეძლო მსოფლიო მიღწევები გაეუმჯობესებინა. თუმცა ბოლო წლებში ამ დისტანციებზე ფავორიტად ცნობილი პოლონელი მორბენალი, ოლიმპიური ჩემპიონი ი. შევინსკა ითვლებოდა.

საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი ქალთა პროგრამის ახალ სახეობაში — 400 მეტრზე თარჯრბენში. უეჭველია, რომ მსოფლიოს ახალ რეკორდსმენს, 30 წლის მოსკოველ ტ. ზელენცოვას დიდი კონკურენცია ელოდება არა მარტო ექს-რეკორდსმენის, პოლონელი თარჯმორბენლის კ. კასპერჩიკის, არამედ დიდი ბრიტანეთის, გდრ-ის, გფრ-ის წარმომადგენლთა მხრიდანაც.

1500 და 3000 მეტრზე რბენაში განსაკუთრებით ძლიერნი არიან რუმინელი ქალები ი. სილაი და ნ. მარაშესკუ. მაგრამ მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში გამარჯვებულ ნორვეგიელ გ. ვაიტცისაც ჩემპიონობის დიდი იმედი აქვს, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში მან ერთადერთმა შეძლო 3000 მეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენის ლ. ბრაგინას მსოფლიო რეკორდს (8.27,4) მიახლოვებოდა.

უეჭველია, მსოფლიო რეკორდსმენის ტიტული ჩემპიონატში წარმატების გარანტია არ იქნება, მაგრამ მაინც, პირველობის მასპინძლები იმედს უსაფუძვლოდ არ ამყარებენ ბრნოელ ჰ. ფიბინგეროვაზე, მსოფლიოში პირველ სპორტსმენზე, რომელმაც ბირთვი 22 მეტრს გადააცილა. ფიბინგეროვას შედეგები წლეულს სულ უფრო იზრდებოდა და, ასე გასინჯეთ, გდრ-ის ძლიერ დუეტს — ი. სლუპიანეკსა და მ. ადამსაც კი გაუჭირდებოდათ მასთან დავა.

იქნებ ყველაზე გამოცდილ სპეციალისტებს შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ სტაიერულ რბენაში გამარჯვებული? ფავორიტების — ინგლისელ ბ. ფოსტერისა და დ. ულმანის (გფრ) გვერდით იქნებიან ახალგაზრდები, მაგრამ გაბედული მებრძოლები, ისეთები, რომლებიც წლეულს უშიშრად შეიჭრნენ ლიდერთა ჯგუფში. ესენი არიან რუმინელი სტაიერი ი. ფლოროიუ (5 კმ — 13.15,2, 10 კმ — 27.47,8) და ირლანდიელი ჯ. ტრეისი, რომელმაც ეროვნებათა კროსი მოიგო, აგრეთვე, პორტუგალიელი ფ. მამედე, ევროპის ზამთრის პირველობაში გამარჯვებული შვეიცარიელი მ. რიფელი... სამწუხაროდ, ამ ჯგუფში ჩვენი მორბენლები არ არიან. წლეულს 10 კილომეტრი ევროპაში ათზე მეტმა სტაიერმა გაირბინა 28 წუთზე უკეთეს დროში, მაგრამ მათ შორის არცერთი საბჭოთა მძლეოსანი არ აღმოჩნდა.

რბენა ჩვენი ვაჟების „აქილევსის ქუსლად“ რჩება (არა და, პრაქტიკულად სწორედ რბენებში, სადაც 13 ოქროს მედალი თამაშდება, უნდა გადაწყდეს გუნდური წარმატების ბედი). შეძლებს თუ არა, მაგალითად, ჩვენი სპრინტერებიდან რომელიმე ჩაერიოს „უმაღლეს დონეზე“ დავაში, სადაც ფავორიტებად 26 წლის ინგლისელი ა. უელსი და ევროპის ჩემპიონი იტალიელი პ. მენეა ითვლებიან?

ევროპის ჩემპიონატმა უამრავი კითხვა დასვა. პასუხს კი თვით პირველობის მონაწილენი გაგვცემენ. ჩვენ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ მილიონობით საბჭოთა სპორტის მოყვარულს საშუალება ექნება ტელევიზორების ეკრანებზე ნახოს ევროპის XII ჩემპიონატის სადღეღამისო გადაცემები პრაღიდან.

ბ. ბუხოვცევი,
ტ. კოზლოვა
(საქდესის კორესპონდენტები)

# ჩემპიონი მესამედ

## მოტოსპორტი

ლენინგრადის მახლობლად „იუკის“ ცნობილ ტრასაზე გაიმართა 250 კბ სმ-ის მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით კროსში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, მე-12 ეტაპის შეჯიბრება, რომელშიც ბელგიის, გფრ-ს, ბულგარეთის, იუგოსლავიის, აშშ-ს, შვეციის, ინგლისის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასპარეზობის ლიდერმა, 30 წლის ლენინგრადელმა გ. მოისეევმა პირველი ცდა მოიგო და მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. მან მეორე ცდაზე მეცხრე ადგილი დაიკავა და ესპანეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, აშშ-ს, იუგოსლავიის, გფრ-ს, ინგლისის, შვეციის, საფრანგეთის, ფინეთისა და ჩვენი ქვეყნის ტრასებზე გამართული 24 ცდის ჯამში 183 ქულა მოაგროვა. ეს მეორე 30 ქულით მეტია, ვიდრე მეორე პრიზიორის ბელგიელ ტ. ვანსკნის, რომელმაც ლენინგრადში მეორე ცდა მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მას ქულით ჩამორჩა დასავლეთგერმანელი ჰ. მაიში, რომელმაც ასევე ქულა მოუგო კიეველ ვ. კავინოვს.





# ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა



**სპორტის** ეროვნული სახეობებისა და კერძოდ ქართული ჭიდაობის აღორძინებაზე, მისი საუკუნოვანი ტრადიციების გაგრძელებაზე მრავალჯერ თქმულა და დაწერილა. საკმაოდ ცნობილი აზრია ისიც, რომ ნახერხმოყრილ საჭიდაოზე გამოჯეგილი ბიჭები სულ ადვილად ეუფლებიან ჭიდაობის სხვა სახეობებს და საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. ამის ნათელსაყოფად იმ სახელების ჩამოთვლაც იკმარებდა, ქართველ კაცს საამაყოდ და სასახელოდ რომ გაუხდია. ვახტანგ ბალავაძე, არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, შოთა ლომიძე, ანზორ კიკნაძე, გივი კარტოზია, ანზორ ქიბროწაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, ლევან თედიაშვილი და სხვა მრავალი სახელოვანი ფალავანი სწორედ ქართულმა ჭიდაობამ გამოიყვანა სარბიელზე, სწორედ მან დააყენა იმ გზაზე, სპორტული მიღწევების მაღალი მწვერვალებისკენ რომ მიდის.

დღეს უკვე კარგად გვესმის, რომ ქართული ჭიდაობა უნდა აღორძინდეს და ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ამ მხრივ ბევრი კარგი საქმეც კეთდება. ქართული ჭიდაობის აღმავლობა-განვითარება ძველთაგან სპორტის ამ სახეობის ტრფიალთა, ცალკეულ ენთუზიასტთა მხრებზე გადადიოდა. სოფლად მუდამ იყვნენ შეჯიბრების ორგანიზატორები, „ჩოხების შემნახველები", საჭიდაო სარბიელის მომწყობნი... ახლა კი ამ საქმეს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტები, „კოლმეურნის" რაისაბჭოები და ადგილობრივი კომკავშირლები უძღვებიან. კვირას ყვარლის რაიონში სახალხო ზეიმ „გრემ — ქალაქობაზე" გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, სადაც ხუთი რაიონის ფალავნები მონაწილეობდნენ. შაბათს კი ქარელში, რაიონის კომკავშირის კომიტეტის (მდივანი ლალი ოსიტაშვილი) ინიციატივით დიდი ასპარეზობა მოეწყო.

შეჯიბრებაში, რომელიც ქარელის მეორე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ჩატარდა, მონაწილეობდნენ ქარელის ორი, კასპის ორი, გორის რაიონისა და ზნაურის გუნდები. კომკავშირელთა ინიციატივას დიდი ხალისით გამოეხმაურნენ ამ რაიონების წარმომადგენლები და შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯი ოლიმპიური ჩემპიონი, ქარელის რაიონის სოფელ ღვლევის მკვიდრი შოთა ჩოჩიშვილი იყო, საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ქარელის მეორე გუნდმა. II და III ადგილები კი შესაბამისად ქარელისა და კასპის გუნდებს ერგოთ. კარგი ჭიდაობით თავი გამოიჩინეს თედეშვილმა, კვანიკაძემ, ელიაშვილმა (ყველა — ქარელი), ჯალალმა, გორგაძემ, ყურაშვილმა (ყველა — კასპი) და სხვებმა.

* * *

კვირას თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში გაიმართა სახალხო ზეიმი „300 არაგველობა", სადაც მოეწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, ხევსურულ დოლსა და მშვილდოსნობაში. ეს ფოტოსურათებიც, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა თ. ქიქავამ შემოგვთავაზა, ამ ასპარეზობაზე მოგვითხრობს.

— როგორ ვასრულებთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებებს —

# დიდმნიშვნელოვანი რეზერვი

**სახალხო** მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომის ნაყოფიერების საკავშირო მასშტაბით თუნდაც ერთი პროცენტით გაზრდა, როგორც ამას ეკონომისტები ამტკიცებენ, თითქმის 3 მილიარდი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ტოლფასია.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ...„**დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვინაიდან მისი ყოველი პროცენტი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, მშენებლობის ტემპის უზარმაზარ ზრდას უზრუნველყოფს და ა. შ. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ძნელი საქმეა ამ ერთი პროცენტის მიღწევა. ამისთვის გვჭირდება მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალ საშუალებათა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, შრომის რაციონალიზაციის დანერგვა, შიდა რეზერვების გამოყენება და ა. შ. მაგრამ განა ყველამ იცის, თუ რამდენად შეიძლება გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება ისეთი მძლავრი ბერკეტის ამოქმედების გზით, როგორიც არის ფიზიკური კულტურა?**

**მეცნიერებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დადგენილია, რომ ამ ფაქტორის წყალობით შრომის ნაყოფიერება შეიძლება 5-10 პროცენტით და მეტად გაიზარდოს! ეს ხომ მართლაც რომ კოლოსალური რეზერვია"...**

ფიზკულტურული მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოსახალხო ხასიათს იძენს. ესაა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა, რომლის პრაქტიკულად ხორცშესხმაში წამყვანი როლი დაკისრებული აქვს მშდ ფიზკულტურულ კომპლექსს. კომპლექსის ნორმატივები ხელმისაწვდომია ყველასთვის. ამიტომაცაა, რომ მისი მეშვეობით მილიონობით მშრომელი იწყებს სისტემატურ მეცადინეობას ფიზკულტურასა და სპორტში.

ფიზკულტურისა და სპორტის დიდმა სოციალურ-საზოგადოებრივმა და სოციალურ-ეკონომიურმა მნიშვნელობამ განზოგადება ჰპოვა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში. X ხუთწლედში ფართოდ გაიშალა ამ მიმართებით მუშაობა საწარმოებსა და დაწესებულებებში, სასწავლებლებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში. ღონისძიებამ თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვის კომპლექსში.

შრომით კოლექტივებში, სადაც ფიზკულტურასა და სპორტს ზრუნვა-ყურადღებას არ აკლებენ, შედეგები საწარმოო მაჩვენებლებშიც თვალნათლივ ჩანს. **თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმო გაერთიანებაში ფიზკულტურა და სპორტი მიჩნეულია „ჯანმრთელობის საამქროდ"**, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საწარმოს ვერც ერთი განყოფილება და უბანი.

მაგალითისთვის განვაზოგადოთ თუნდაც საწარმოო ტანვარჯიშის ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია ხარისხის მართვის სისტემაში. აქ „ხარისხის დღეს", რომელიც კვირაში ერთხელ ეწყობა, გამოშვებული პროდუქციის შეფასებასთან ერთად საწარმოო ტანვარჯიშშიც გამოჰყავთ ნიშანი, რაც გავლენას ახდენს საამქროებისა და უბნების საერთო მაჩვენებლებზე. საწარმოო ტანვარჯიშისადმი ყურადღების გაძლიერებამ შრომის დისციპლინაც განამტკიცა. ვარჯიშზე არავინ იგვიანებს, მთელს საწარმოში სამუშაო დღეც შეუფერხებლად და რიტმულად იწყება.

**რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში** შრომის ნაყოფიერება ბოლო წლებში 5-6 პროცენტით ამაღლდა. ორივე კოლექტივმა 1977 წელს სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულებისთვის გამლილ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ჯილდოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურეს.

მაინც რამ განაპირობა ასეთი ეკონომიკური ეფექტი ამ კოლექტივებში? **პირველ ყოვლისა ეს გახლავთ ყველა საამქროში, განყოფილებაში და უბანში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის სასიკეთო შედეგი.** შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაღა თქმა უნდა, დიდად შეუწყო ხელი შრომისა და დასვენების გონივრულმა ორგანიზაციამ, საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობისთვის აუცილებელი პირობების შექმნამ. გამუდმებით ეწყობა აგრეთვე, მასობრივი ღონისძიებები ტურიზმში, სპორტულ თევზაობაში, მშდ კომპლექსში და ა. შ. საგულისხმოა, რომ ამ ღონისძიებათა შედეგად **ზემოაღნიშნულ საწარმოებში ავადმყოფობის გამო სამუშაო დღეების გაცდენის შემთხვევებიც მინიმუმამდე დავიდა.**

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ **„ვინც ფიზკულტურას არ მისდევს, წელიწადში საშუალოდ 18 დღეს ავადმყოფობს, ხოლო აქტიური სპორტსმენები მხოლოდ 2 დღეს თუ არიან შეუძლოდ".** ითქვა ისიც, რომ პროდუქციის გამოუშვებლობით გამოწვეული დანაკარგები „არაერთი მილიონი მანეთია და ამ ხარვეზების სულ ცოტა 9-10-ჯერ შემცირების შესაძლებლობების უგულებელყოფა პირდაპირ მიუტევებელი დაუდევრობა და უგუნურება იქნებოდა".

როგორც ვნახეთ, ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა ძალზე დიდია. მაგრამ მისი სიკეთე ამით როდი ამოიწურება. **მ. ი. კალინინი** ჯერ კიდევ ამ 40 წლის წინათ ამბობდა: „ხალხში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარება მეტად სასარგებლოა, რადგან იგი დისციპლინირებულს ხდის ადამიანებს, ამაგრებს მათ ჯანმრთელობას, იძლევა თვითმოქმედებისა და ინიციატივის სტიმულს, აჩვევს მათ კოორდინირებულ ერთობლივ მოქმედებას". ასე, რომ კოლექტივში სოციალურ-ეკონომიური კლიმატის შექმნას, მისი თითოეული წევრის ერთი მიზნით შეკავშირებას და ერთი სულისკვეთებით აღზრდას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უნარიანად წარმართვაც განაპირობებს.

ამიტომაც დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ მრავალმხრივ საყურადღებო ამ დიდი რეზერვის სრულად გამოვლენა-ამოქმედებისთვის. რესპუბლიკის მრავალი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ფიზკულტურასა და სპორტს თვალსაჩინო ადგილს უთმობს ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმებში. 1978 წელს ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში 221,3 მილიონი მანეთია გამოყოფილი ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის უფრო ფართოდ დანერგვისთვის. ეს ხუთი მილიონი მანეთით მეტია 1977 წელთან შედარებით.

როცა ფიზკულტურისა და სპორტის უდიდესი შესაძლებლობების სრულად გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, პრაქტიკული მუშაობის გასაშლელად დიდ სტიმულს იძლევა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა დასვენების უფლებას უზრუნველყოფს „...გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა".

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ წელიწადზე მეტი დრო გავიდა. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა როდია წარმოება-დაწესებულება, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სადაც სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ აქტივის კრების შედეგებიდან. **თბილისის კიროვის რაიონის საზოგადოებრივი კვების ობიექტზე, სადაც 650 კაცი მუშაობს, წლევანდლამდე თვითდინებაზე იყო მიშვებული ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. მშდ ახალი კომპლექსის შემოღების დღიდან 6 წლის განმავლობაში კოლექტივში არ მომზადებულა არცერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი. ბათუმის ბამბუკის ფაბრიკის 800-წევრიან კოლექტივში ჩაშლილია მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა, არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში.**

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებები ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას მოითხოვს. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის პრაქტიკულად ხორცშესხმაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ყოველდღიური პარტიული მზრუნველობა. აქტივის კრებაც ხომ ამ დევიზით ჩატარდა.

ო. გაჩეჩილაძე.

## ხუთი რგოლის ემბლემით

# ციფრები, ციფრებ...

**მოსკოვის** ოლიმპიადისათ... წელს შეკეთდა 11 მილიონი ...დრატული მეტრი საცხოვრებ... ფართობი, 8 მილიონი კვადრატ...ლი მეტრი ფასადი, კეთილმოეწყ...ბა 98 ქუჩა, ვაჭრობის, საზოგად...ებრივი კვების, საყოფაცხოვრებ... მომსახურების, კულტურის, ჯან...რთელობის 700 ობიექტზე მე... 1.140 ეზოს ტერიტორია და ა. ...

ოლიმპიური თამაშების ჩატარ...ბის შემდეგ ოლიმპიური სოფლ... სახლებში მათი მცირეოდენი გად...კეთების შემდეგ, დასახლდება ... ათასი მოსკოველი.

დღეს დედაქალაქის სასტუმრო...ბის ფონდი 50 ათას ადგილს ით...ლის, ოლიმპიადისათვის კი ეს ...ჩვენებელი კიდევ 27 ათასით გაი...დება.

მოსკოვის მეტროპოლიტე... ქსელის სიგრძე 185 კილომეტ... მიაღწევს, გაჰყავთ 100 კილომე...რზე მეტი სიგრძის ტროლეიბუ... ახალი ხაზები, ემატება ავტო...სის 25 ახალი მარშრუტი, საზო...დოებრივი ტრანსპორტის პა... 12 ათას ერთეულამდე გაიზრდე...

* * *

**მოსკოვი** ელის 12 ... სპორტსმენს მსოფლიოს ... მეტი ქვეყნიდან, 7.400 ჟურნ...ისტს, 30 ათას უცხოელ და ... ნივე საბჭოთა ტურისტს.

## ფიგურული სრიალის ოსტატებმა სეზონი გახსნეს

**ახალი** სეზონის სტარტზე ...რმატებით გამოვიდნენ მოსკოვ... სპორტსმენები ელენე გარანინა... იგორ ზავოზინი. ობერსტდორფ... (გდრ) გამართულ საერთაშორი... ტურნირზე შედეგით — 14... ქულა (ადგილების ჯამი — 9) ... უკან ჩამოიტოვეს ამერიკელთა ... კრონი — ბ. ჰაგანი) და კანად...თა (ც. ფრენჩი — დ. ტომ...) წყვილები და სპორტულ ცეკ... პირველი ადგილი ... დაიკავეს...

ფეხბურთი

# „შახტიორი“—„დინამო“ (თბილისი)

დონეცკი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 26 აგვისტო.
„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:1)
„შახტიორი“: დეგტიარევი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, სოკოლოვსკი, ლატიში, რეზნიკი (ფედორენკო), რუდაკოვი (შაფოროსტოვი), დუდინსკი, საფონოვი.
„დინამო“: გოგია, კოსტავა (ხიზანიშვილი), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩივაძე).
მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).
გოლები გაიტანეს ვ. ქორიძემ (მე-2 წუთი) და ლატიშმა (56-ე წ.).
დუბლიორები — 0:0.

## მატჩამდე

დილის 9 საათზე დინამოელები მთელი შემადგენლობით „ლოკომოტივის“ სტადიონზე იყვნენ. წაივარჯიშეს და სასტუმროში დაბრუნდნენ. თბილისელთა მეტოქე საღამომდე არ გამოჩენილა ქალაქში — „შახტიორი“ დონეცკიდან 20 კილომეტრზე, საკუთარ ბაზა კიროვში ემზადებოდა მატჩისთვის.

უამრავი გულშემატკივარი ჩამოსულა საქართველოდან, ნაწილი სასტუმრო „შახტიორის“ წინ ტრიალებს, ნაწილი — სტადიონთან ეძებს „ზედმეტ ბილეთს“. ბილეთები კი კარგა ხანია გაყიდულია.

...დაღესტნელი მიხეილ ალიევი, ერთ-ერთი შახტის მთავარი ტექნოლოგი, 29 წელია დონეცკში ცხოვრობს. 43 წლისაა, ყოფილი სპორტსმენია, თავისუფალს ჭიდაობდა. ამ ათიოდე წლის წინათ უკრაინის პირველობაზე მეორე ადგილიც დაუკავებია.

იმ სახელგანთქმული ალიევის ხომ არაფერი ხართ-მეთქი, სხვათა შორის ვეკითხები. ბიძაშვილი გამოდგა.

მიხეილი დილიდანვე სასტუმროს წინ ტრიალებდა. რა თქმა უნდა, დაესწრება მატჩს, არა, რის დამარცხება, „დინამო“ ორს თუ არა, ერთ ქულას მაინც აიღებს.

— როგორ ფიქრობთ, ვინ გახდება ჩემპიონი?

— რასაკვირველია, თბილისის „დინამო!“...

მსაჯებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს — ჩუმად, უხმაუროდ მოეწყვნენ სასტუმრო „უკრაინაში“.

მორიგემ „საიდუმლო“ გამანდო და... წუთის შემდეგ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ვალენტინ ლიპატოვს ვესაუბრებოდი. თქმა არ უნდა, პირველი კითხვა უშუალოდ მატჩს ეხება.

— რთული მატჩია, გუნდებისთვისაც და სამსაჯოდაც. „შახტიორმა“ სულ ახლახან წააგო თასი და საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციას შეეცდება. გულშემატკივრები ფეხბურთელებისგან განსაკუთრებულ საჩუქარს ელიან — ხვალ ხომ მეშახტის დღეა.

— ფეხბურთი ასე უცბათ არ იცვლება, მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატი ალბათ მაინც გამორჩეულია.

— „შახტიორისა“ და კიევის „დინამოს“ ორი მატჩი ვიმსაჯე, ერთი აქ, ჩემპიონატის მეორე წრისა, ერთიც — თასის ფინალი. დონეცკში „შახტიორმა“ აშკარად დაჩაგრა „დინამო“, მოსკოვში კი მთელი მატჩი კიეველთა კარნახით მიმდინარეობდა. მატჩი თბილისში — „დნეპრი“ — „დინამო“ თბილისელებმა საკმაოდ უხეიროდ ითამაშეს. შედეგი შეიძლებოდა სულ სხვაგვარიც ყოფილიყო. „დნეპრმა“, პირიქით, ისეთი თამაში აჩვენა, რომ არა და არ ჰგავდა აუტსაიდერს. სამაგიეროდ, ბევრ სხვა, თუნდაც მოსკოვურ მატჩებში ძალზე უსუსურად გამოიყურებოდა: ეს მაგალითები ერთი რამისთვის მოვიხმე: ამგვარი არასტაბილური თამაში დამახასიათებელია წლევანდელი ჩემპიონატისთვის. რატომღაც იკლო მაყურებელმაც — (თბილისსა და დონეცკს არ ვგულისხმობ — შეიძლება ეს მსოფლიო ჩემპიონატის ბრალიც იყოს, მაგრამ დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი კი არის, წლეულს უფრო აგრესიულად თამაშობენ გუნდები, იმატა გოლებმაც. კითხვა ალბათ მსაჯობის ხარისხსაც ეხება. წლეულს ფეხბურთის სამმართველომ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ მწვრთნელებს, მსაჯებსა და კოლექტივებს შორის, ასე ვთქვათ, სპორტული ატმოსფერო დამყარებულიყო. ამან მატჩები შედარებით იოლად სამსაჯო გახადა, ბუნებრივია, იკლო შეცდომებმაც.

ჩემპიონატში თითოეულ კოლექტივს ყოველთვის აქვს ძნელი მატჩი, ჰყავს ტრადიციულად „უხერხული“ მეტოქე. ეს ალბათ არბიტრებზეც ვრცელდება.

— ძნელი? არ ვიცი, ჩემთვის ყველა მატჩი ძნელია, უფრო სწორად ყველაზე ძნელი მომავალი მატჩია, ის, რომელიც კარზე მოგვადგება.

— ზოგიერთ გუნდთან თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხშირად გიხდებათ შეხვედრა. კარგია ეს თუ ცუდი?

— მატჩს თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით წლეულს მეოთხედ ვმსაჯობ. მეხუთედაც მომიწევს — თბილისში „არარატთან“. ხუთჯერ ვიმსაჯე „ზარიასთან“. უნდა გითხრათ, რომ ასეთი ხშირი შეხვედრები არ არის გამართლებული და არც მაინცდამაინც სასიამოვნოა. ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ჩემი მსაჯობისას ოთხი შეხვედრა წააგო. მეხუთე მატჩზე რომ გავდიოდი, ფეხბურთელები რაღაც ცერად მიღიმოდნენ. მინდოდა მეთქვა, ჩემი ბრალი არ არის ბიჭებო-მეთქი, მაგრამ....

საუბრისთვის მადლობა გადავუხადე ვალენტინ ლიპატოვს, მშვიდობიანი მსაჯობა ვუსურვე.

სამივე არბიტრი დასასვენებლად ემზადება — რამდენიმე საათის შემდეგ მატჩია.

## მატჩი

მე-2 წუთზე დეგტიარევი აპირებდა ხელით გადაეგორებინა ბურთი თავის მცველისთვის. მაგრამ „გადაცემა“ უმისამართო გამოდგა, ბურთი მიუვიდა ქორიძეს, ზუსტი დარტყმა და... „შახტიორმა“ ცენტრიდან დაიწყო თამაში.

ამ გოლმა განსაზღვრა კიდეც მატჩის ხასიათი. მასპინძლები უამისოდაც საკმაოდ აგრესიულად იყვნენ განწყობილი, გაუთვალისწინებელმა მარცხმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხა. მართალია, ერთხანს „შახტიორი“ ამ შეცდომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მერე და მერე გონს მოეგო და იერიშზეც გადავიდა. თუმცა, სანამ თბილისელთა საჯარიმოს ალყა დაიწყებოდა, „დინამომ“ კიდევ ერთხელ საკმაოდ სახიფათოდ უჩხვლიტა მეტოქეს — ყიფიანმა შესანიშნავად დაარტყა მარცხენა ფლანგიდან, ბურთი კი ოდნავ ასცდა დონეცკელთა კარს.

„შახტიორი“ ჩვეული მანერით თამაშობს — ბურთი ხან ერთ, ხან მეორე ფლანგზე ინაცვლებს, აქედან კი „დინამოს“ საჯარიმოში ეშვება. მართალია, საგოლე სიტუაციები არ ჩანს, მაგრამ მასპინძელთა „დაწოლა“ სულ უფრო სახიფათო ხდება. ერთი ხინჯი მაინც სდევს დონბასელთა მოქმედებას — „შახტიორის“ რიგებში ამ დღეს არ თამაშობს ტრავმირებული სტარუხინი, ისეთიც არავინ გამოჩნდა, რომ იერიშებს სათანადო გაგრძელება მოუძებნოს — თბილისელი სტოპერები „საჰაერო ბრძოლაში“ აშკარად სჯობნიან მეტოქეებს.

მე-15 წუთი. ზედიზედ 3 კუთხური „დინამოს“ კართან. სურათი არ იცვლება, ისევ თბილისელი მცველები იმარჯვებენ და „შახტიორიც“ სხვა გზებს ეძებს, ვინაიდან, ასეთი ერთფეროვანი იერიშით არაფერი გამოვა. მასპინძლებმა ახლა უშუალოდ ცენტრიდან შეუტიეს. შორიდან ძლიერი დარტყმით გოგიას სიფხიზლეს ამოწმებს ლატიში.

მახსენდება მატჩისწინა საუბარი ს. კუტივაძესთან: „შახტიორი“ ფლანგებიდან შეეცდება ბურთის საჯარიმო დაკიდებას, სტარუხინი კი განსაკუთრებით თავს სწორედ ამგვარ სიტუაციებში გრძნობს კარგად (ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ სტარუხინი მინდორზე ვერ გამოვიდოდა). ბუნებრივია, მატჩის დაწყებისთანავე შეგვიტევენ, შევეცდებით ტემპი შევანელოთ, დიდხანს გავაჩეროთ ბურთი“.

„დინამო“ კარგა ხანს ათამაშებს ბურთს, იკლო ტემპმა. პირველ 30 წუთში მასპინძლებმა სულ რამდენჯერმე დაარტყეს გოგიას კარისკენ — ორჯერ ლატიშმა, ერთხელ დუდინსკიმ.

თამაში იმ კალაპოტში ჩადგა, რომელიც თბილისელებს სურდათ და ისინიც, ცოტა არ იყოს, დამშვიდდნენ. მასპინძლებმა, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით — ტაიმის ბოლო 15 წუთი ბურთი კვიმატად დაგორდა სტუმართა საჯარიმოში.

მეორე ტაიმის დასაწყისში გორბუნოვის შეცდომა კინაღამ მეორე გოლად დაუჯდათ დონბასელებს. გუცაევი სწრაფად გაექცა მცველებს, კარისკენ ჩააწოდა და... დეგტიარევის თავგანწირული ნახტომი რომ არა, გოლის ავტორი შახტიორის ცენტრალური მცველი გორბუნოვი გახდებოდა.

5 წუთის შემდეგ მასპინძლებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ლატიშმა ამჯერად ზუსტად დაარტყა. ბურთი, რომ იტყვიან, აუღებელი იყო და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1.

ამის შემდეგ შენგელიას, დარასელიასა და გუცაევს მიეცათ რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა, ერთხანს „შახტიორიც“ ცდილობდა დაწინაურებას, მერე კი მეტოქეებმა ფრთხილი ტაქტიკა ირჩიეს და თამაშმა მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა. ჩემპიონობის ორმა ყველაზე რეალურმა კანდიდატმა თანაბრად გაინაწილა ქულები.

## მატჩის შემდეგ

**ვ. სალკოვი, „შახტიორის“ უფროსი მწვრთნელი:** „დინამო“ ახლა ჩემპიონობის № 1 კანდიდატია. გუნდში საკმაოდ არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები, და, საერთოდ, დღეს ამ კოლექტივს ყველანაირი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია. იგი მონოლითურია და წონასწორობიდანაც ვერ გამოიყვან, როგორც ეს ადრე არაერთხელ ხდებოდა. დღევანდელ მატჩში, ბუნებრივია, გვქონდა ჩვენი გეგმები, მაგრამ... ჯერ იყო და დეგტიარევის უხეში შეცდომა, მერე, თბილისელები, მართალია, მეტწილად თავს იცავდნენ, მაგრამ არც აქედან გამოდნა რამე. პირიქით, „დინამოს“ შეტევები ბევრად სახიფათო იყო. „შახტიორმა“, მართალია, გაიტანა გოლი, სხვა უკეთესი შესაძლებლობა კი ფაქტიურად, არც გვქონია. ჩვენი გულშემატკივარი უეჭველ გამარჯვებას ითხოვდა. ერთია სურვილი, მაგრამ კლასი მაინც თავისას შვრება“.

მსაჯთა ოთახთან ლიპატოვს მოვკარი თვალი.

— როგორ არის საქმე?

— არა უშავს რა. — მიპასუხა და მთელი დღის განმავლობაში ალბათ პირველად გაიღიმა.

— შემდეგი მატჩი?

— ერევანში.

— ალბათ, ყველაზე ძნელი.

— რა თქმა უნდა...

გასახდელში ახალი ამბები მოიტანეს. კიევის „დინამომ“ კვლავ გაიმარჯვა, სხვაობა 8 ქულაა, მოსკოვის „დინამოსთან“ +7 (თამაში მარაგში), „შახტიორთან“ +4 (აქაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს მეტოქეს), „ნეფთჩიმ“ გამანადგურებელი ანგარიშით — 1:5 წააგო „ფახთაქორთან“. შემდეგი მატჩი კი ბაქოშია... რაღა თქმა უნდა, ძნელი.

**ი. ბერიაშვილი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

## უმაღლესი ლიგა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები:
„დნეპრი“ — „ქაირათი“ 2:0.
„ფახთაქორი“ — „ნეფთჩი“ 5:1.
„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 3:1
„ზარია“ — „ზენიტი“ 4:0.
ცსკა — „დინამო“ კ. 0:1.
„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ 0:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 22 | 14 | 5 | 3 | 30—14 | 33 |
| „შახტიორი“ | 21 | 13 | 3 | 5 | 29—18 | 29 |
| „ჩერნომორ“. | 21 | 10 | 7 | 4 | 33—18 | 27 |
| „დინამო“ მ. | 21 | 10 | 6 | 5 | 27—18 | 26 |
| „ტორპედო“ | 22 | 10 | 6 | 6 | 25—18 | 26 |
| „დინამო“ კ. | 22 | 9 | 7 | 6 | 28—18 | 25 |
| ცსკა | 22 | 10 | 3 | 9 | 27—31 | 23 |
| „სპარტაკი“ | 22 | 9 | 4 | 9 | 27—25 | 22 |
| „ზენიტი“ | 21 | 7 | 7 | 7 | 22—27 | 21 |
| „ფახთაქ“. | 22 | 6 | 6 | 10 | 31—34 | 18 |
| „ზარია“ | 21 | 6 | 6 | 9 | 27—29 | 18 |
| „ნეფთჩი“ | 21 | 6 | 5 | 10 | 16—22 | 17 |
| „ქაირათი“ | 21 | 5 | 6 | 10 | 17—27 | 16 |
| „ლოკომოტ“. | 21 | 4 | 7 | 10 | 17—29 | 15 |
| „არარატი“ | 21 | 6 | 2 | 13 | 13—29 | 14 |
| „დნეპრი“ | 21 | 5 | 2 | 14 | 16—28 | 12 |

ფეხბურთი

# მეორე გამარჯვება ოდესელებთან

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 აგვისტო.
„ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ (ოდესა) 2:0 (1:0).
„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანაძე, გოგოლაძე, ოქროპირაშვილი, თევზაძე, ძებისაშვილი (კვაჭანტირაძე), ბურკაძე, ქვირია (ფოფხაძე), ფესტვენიძე, შელია, ებანოიძე (ა. კვერნაძე).
ასკ: ნეფედოვი, ჟარკოვი, სმირნოვი (როსმანი), სმაროვოზი, ჩილიბი, მარუსინი, ბონდარი, სიროვატსკი, ვ. მალი, ლ. მალი (ნიკოლაიშვილი), ივანენკო.
მსაჯი ა. ხორლინი (მოსკოვი).
გაფრთხილებულია ჩილიბი.
დუბლიორები — 8:1.

მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, როცა ოდესელი სმირნოვი სწრაფად შეიჭრა ტორპედოელთა საჯარიმო მოედანზე, პირისპირ დარჩა მეკარესთან და ძლიერად დაარტყა კარში. მჭედლიძემ შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ იგი მიუგორდა ვ. მალის და ამ უკანასკნელმა ძელს მოახვედრა ბურთი. უკუგდებულ ბურთს მიუსწრო სიროვაცკიმ და კვლავ კარისკენ გაგზავნა იგი. ბურთი მოხვდა ხაზზე მყოფ თევზაძეს, რის შემდეგ გავიდა კუთხურზე.

ასეთი თავბრუდამხვევი დასაწყისის შემდეგ მასპინძელთა რიგები ერთხანს აირია, მცველები ნაჩქარევად, უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, წინა ხაზის მოთამაშეები ხშირად კარგავდნენ გადაცემებს, მაგრამ გავიდა დრო და ტორპედოელებმა თანდათან მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება, რამდენიმე შეტევა წამოიწყო ფესტვენიძემ, თავდამსხმელებს მხარი გაუმაგრა ებანოიძემ, შემდეგ ნეფედოვს მოუხდა შელიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება.

30-ე წუთზე ბურკაძისგან მიღებული ბურთი შელიამ ოდნავააცილა მიზანს, მცირე ხანში კი მჭედლიძემ იხსნა კარი ოდესელთა ერთ-ერთი ფორვარდის გარღვევის შემდეგ.

პირველ წარმატებას ქუთაისელებმა მიაღწიეს ტაიმის დასასრულს, როცა შელიამ კარგად მიაწოდა ბურთი ებანოიძეს და ამ უკანასკნელის ზუსტი თავური დარტყმის შემდეგ არმიელებს ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება.

მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელეს შესვენების შემდეგაც, მათ არც სტუმრები ჩამორჩნენ. უკვე მაშინ, როცა თითქოს ცვლილება ანგარიშში აღარ უნდა მომხდარიყო, 88-ე წუთზე, კვერნაძემ თითქმის კარის ხაზიდან დარტყმა შეასრულა და ბურთი შორეულ ძელთან ჩაუშვა ბადეში. ეს იყო ძალზე ეფექტური გოლი.

ქუთაისის „ტორპედომ“, ისევე როგორც პირველ წრეში, გამარჯვება მოიპოვა ოდესის არმიელებთან შეხვედრაში. მაგრამ გუნდის წინაშე ჯერ კიდევ დგას საპასუხისმგებლო ამოცანები და სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მან ყველაფერი უნდა გააკეთოს უახლოეს დროშივე.

**ა. ხურციძე,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

## სხვა მატჩები

I ლიგაში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (მინსკი) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:4, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 26 | 14 | 9 | 3 | 35—17 | 37 |
| ასკ რ. | 26 | 12 | 11 | 3 | 46—26 | 35 |
| „დინ.“ მნ. | 27 | 12 | 9 | 6 | 35—24 | 33 |
| „კარპატი“ | 25 | 12 | 8 | 5 | 35—23 | 32 |
| „ნისტრუ“ | 27 | 12 | 7 | 8 | 36—25 | 31 |
| „ყუბანი“ | 26 | 11 | 9 | 6 | 36—26 | 31 |
| „თერგი“ | 27 | 12 | 6 | 9 | 37—35 | 30 |
| „ჟალგირ.“ | 26 | 7 | 13 | 6 | 26—24 | 27 |
| „ტორპედო“ | 26 | 10 | 6 | 10 | 28—25 | 26 |
| „ტავრია“ | 26 | 9 | 8 | 9 | 31—26 | 26 |
| „კუზბასი“ | 26 | 9 | 7 | 10 | 27—34 | 25 |
| „შინიკი“ | 25 | 9 | 7 | 9 | 26—25 | 25 |
| „პამირი“ | 27 | 6 | 12 | 9 | 29—29 | 24 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 27 | 9 | 5 | 13 | 27—40 | 23 |
| „დინ.“ ლ. | 27 | 7 | 9 | 11 | 37—43 | 23 |
| „მეტალ.“ | 26 | 5 | 13 | 8 | 23—31 | 23 |
| ასკ ოდ. | 27 | 7 | 8 | 12 | 28—37 | 22 |
| „ურალმ.“ | 26 | 6 | 8 | 12 | 18—33 | 20 |
| „კოლხოზ.“ | 27 | 6 | 6 | 15 | 21—39 | 18 |
| „სპარ.“ ორ. | 26 | 5 | 5 | 16 | 17—36 | 15 |

## მეორე ლიგა

25 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:0, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „გასტელო“ (უფა) 3:1, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:1, „დინამო“ (კიროვი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ | 32 | 18 | 7 | 7 | 47—25 | 43 |
| „შირაკი“ | 32 | 15 | 10 | 7 | 53—29 | 40 |
| „დინ.“ ზ. | 32 | 14 | 10 | 8 | 44—27 | 38 |
| „კოტაიკი“ | 32 | 17 | 3 | 12 | 44—42 | 37 |
| „რუბინი“ | 32 | 14 | 9 | 9 | 42—31 | 37 |
| „გურია“ | 32 | 14 | 8 | 10 | 53—37 | 36 |
| „ზენიტი“ | 32 | 11 | 13 | 8 | 39—31 | 35 |
| „დრუჟბა“ | 32 | 15 | 4 | 13 | 43—34 | 34 |
| „ტურბ.“ | 32 | 15 | 4 | 13 | 35—40 | 34 |
| „ავტომობ.“ | 32 | 14 | 6 | 12 | 42—44 | 34 |
| „ტორპედო“ | 32 | 13 | 7 | 12 | 40—31 | 33 |
| „დინ.“ ბ. | 32 | 12 | 8 | 12 | 36—32 | 32 |
| „დილა“ | 32 | 10 | 12 | 10 | 33—30 | 32 |
| „ურალ.“ | 32 | 13 | 5 | 14 | 40—43 | 31 |
| „დინ.“ ს. | 32 | 12 | 7 | 13 | 47—48 | 31 |
| „დინ.“ კრ. | 32 | 12 | 7 | 13 | 41—36 | 31 |
| „გაზოვ.“ | 32 | 12 | 7 | 13 | 38—36 | 31 |
| „ლოკომოტ.“ | 32 | 12 | 6 | 14 | 42—49 | 30 |
| „გასტ.“ | 32 | 12 | 6 | 14 | 38—43 | 30 |
| „ყარაბ.“ | 32 | 11 | 8 | 13 | 33—32 | 30 |
| ფიზკ. ინსტ. | 32 | 8 | 12 | 12 | 27—34 | 28 |
| „პროგრ.“ | 32 | 12 | 3 | 17 | 31—50 | 27 |
| „ხაზარი“ | 32 | 8 | 5 | 19 | 25—54 | 21 |
| „არაზი“ | 32 | 4 | 5 | 23 | 24—78 | 13 |

## ნარმაჯებით ასპარეზობენ

ლიპეცკსა და ანგარსკში მიმდინარეობს ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირები ფეხბურთში.

როგორც თბილისის დინამოელთა ხელმძღვანელი ო. უშვერიძე გვატყობინებს ლიპეცკიდან, თბილისელებმა მოიპოვეს ორი გამარჯვება: მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო —1:0 და რიგის საფეხბურთო სკოლების გუნდებთან — 3:1. ფრედ ითამაშეს კიევისა და ბაქოს (1:1) და ლატვიისა და ლიპეცკის (0:0) გუნდებმა. II ტურში მოსკოველებმა ბაქოს „შრომითი რეზერვები“ დაამარცხეს ანგარიშით 6:0, ხოლო კიევის სპორტსკოლისა და ლიპეცკის გუნდებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0.

ანგარსკში ასპარეზობს თბილისის „ავაზა“. თბილისელებმა პირველ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველებთან — 2:1. მინსკელებმა მოუგეს ოდესის გუნდს — 3:1, ხოლო ანგარსკელებმა — ვლადივოსტოკის კოლექტივს — 5:1.

# ანგარიშია 4:1

26 აგვისტოს ბაგიოში (ფილიპინები) მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XVII პარტია გათამაშდა.

ამ მატჩში ნიმცოვიჩის დაცვა მეოთხედ გვხვდება. მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ მწვავე ვარიანტი გაითამაშა: პაიკის შეწირვით ინიციატივასა და ცენტრს დაეუფლა. გაჩაღდა მძაფრი თამაში.

კორჩნოიმ ჯერ მეტოქის ცენტრალური პაიკების წინსვლა შეაჩერა, მერე ლაზიერების გაცვლით ენდშპილში გადავიდა. პოზიცია უკიდურესობამდე დაიძაბა.

კარპოვმა ცენტრში მეფე რომ მიიყვანა, პრეტენდენტმა ეტლში ორი ფიგურა დათმო და შავ პაიკებს შეუტია. ეს მანევრი ალბათ მცდარი იყო, რადგან კარპოვის მეფე აქტიურად ჩაება რეიდში თეთრი გვირგვინოსნის წინააღმდეგ. შეიქმნა ორიგინალური პოზიცია: კარპოვის მხედრები მეფისა და ეტლის ხელშეწყობით უტევდნენ კორჩნოის მეფეს, რომელსაც დაცვაში მხოლოდ ერთი ეტლი ეხმარებოდა. ბოლოს პრეტენდენტს გამორჩა მხედველობიდან ჩემპიონის ლამაზი კომბინაცია, რომელიც შამათით მთავრდებოდა.

ამ გამარჯვებით კარპოვმა განიმტკიცა ლიდერობა — 4:1.

**კორჩნოი — კარპოვი**

**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. d4 კb4 4. e3 0—0 5. კd3 c5 6. d5 b5 7. de fe 8. cb a6 9. მe2 d5 10. 0—0 e5 11. a3 ab 12. კ:b5 კ:c3 13. bc კa6 14. ეb1 ლd6 15. c4 d4 16. მg3 მc6 17. a4 მa5 18. ლd3 ლe6 19. ed cd 20. c5 ეfc8 21. f4 ე:c5 22. კ:a6 ლ:a6 23. ლ:a6 ე:a6 24. კa3 ეd5 25. მf5 მფf7 26. fe ე:e5 27. ეb5 მc4 28. ეb7+ მფe6 29. მ:d4+ მფd5 30. მf3 მ:a3 31. მ:e5 მფ:e5 32. ეe7+ მფd4 33. ე:g7 მc4 34. ეf4+ მe4 35. ეd7+ მფe3 36. ეf3+ მფe2 37. ე:h7 მcd2 38. ეa3 ეc6 39. ეa1 მf3+. კორჩნოი დანებდა.

# დაწინაურდა ჩიბურდანიძე

შაბათს ბიჭვინთაში ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩში მესამე პარტია შედგა.

სიცილიურ დაცვაში გაფრინდაშვილმა მიმართა დიდოსტატ ე. სვეშნიკოვის მწვავე ვარიანტს. მაგრამ პრეტენდენტმა უკეთესი პოზიცია მიიღო.

მეტოქის მზარდი ინიციატივის განელების მიზნით გაფრინდაშვილმა ლაზიერები გაცვალა და ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა. ფიგურებისთვის მეტი სარბიელი რომ მიეცა, ჩემპიონმა დათმო სუსტი ცენტრალური პაიკი.

შემდგომ ეტლები გაიცვალა და თამაში მსუბუქფიგურებიან ენდშპილში გაგრძელდა.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. თამაშის განახლებისას გაფრინდაშვილმა შეძლო პრეტენდენტის ზედმეტი პაიკის გაუფასურება.

**ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. მb5 d6 7. კf4 e5 8. კg5 a6 9. მa3 b5 10. კ:f6 gf 11. მd5 f5 12. კd3 კe6 13. ლh5 კg7 14. 0-0 f4 15. c4 b4 16. მc2 ეb8 17. b3 h6 18.g3 a5 19. ეad1 ლg5 20. კe2 0-0 21. მფh1 ლ:h5 22. კ:h5 f5 23. მc7 კf7 24. კ:f7+ ე:f7 25. მb5 fe 26. მ:d6 ეd7 27. მ:e4 ეbd8 28. ე:d7 ე:d7 29. მფg2 ეd3 30. f3 მფf7 31. მფf2 ეd8 32. მფe2 a4 33. ეd1 ab 34. ab ე:d1 35. მფ:d1 კf8 36. მფe2 მa5 37. მd2 მფe6 38. მფd3 fg 39. hg მb7 40. მe3 მa5 41. მg4. h5 (ჩაწერილი სვლა) 42. მf2 კc5 43. მfe4 კe7 44. მფe3 მფf5 45. მფe2 მc6 46. მფd3 მa5 47. მფc2 h4 48. gh კ:h4 49. c5 მფe6 50. მc4 მc6 51. მფd3 კe7 52. მe3 მa5 53. მc2 მ:b3 54. მფc4 მ:c5 55. მ:c5. ყაიმი.

**გუშინ** ბიჭვინთაში გაიმართა ქალთა მსოფლიო პირველობის ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩის IV პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. გაკეთდა 34 სვლა, რის შემდეგაც ნ. გაფრინდაშვილმა პარტიისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა.

ამრიგად დაწინაურდა მ. ჩიბურდანიძე — 2,5:1,5.



### ზაიჩიკის მეორე ბალი

კიროვაკანში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე, მათ შორის იყო საქართველოს ჩემპიონი ოსტატი გ. ზაიჩიკიც.

I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა რ. ვაგანიანმა (ერევანი) და საერთაშორისო ოსტატმა ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) — 11-11 ქულა, III ადგილზეა ს. მარიანოვიჩი (იუგოსლავია) — 10,5. შემდეგ მოდიან საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო) — 10, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ე. მნაცაკანიანი, ა. პეტროსიანი (ორივე-ერევანი), ო. დემენტიევი (კალინინგრადი), ზაიჩიკი — 8-8, ზ. შიმჩაკი (პოლონეთი), ვ. სტოიკა (რუმინეთი) — 7-7, გ. ფორინტოში (უნგრეთი) — 6,5, ა. ორნშტეინი (შვეცია) — 5,5, ი. პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია) — 4,5, ლ. კალაშიანი — 4, ლ. ეოლიანი (ორივე — ერევანი) — 3,5.

ვ. კუპრეიჩიკმა შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის პირველი ბალი, ს. მარიანოვიჩმა — მეორე ბალი. გ. ზაიჩიკმა, ე. მნაცაკანიანმა და ა. პეტროსიანმა შეასრულეს საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის მეორე ბალი, რაც საკმარისია წოდების მისაღებად.

* * *

**სურათზე:** საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი გ. ზაიჩიკი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

### ჭადრაკი

### წარმატება მონტილიაში

მონტილიაში (ესპანეთი) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 10 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ბ. სპასკიმ — 6,5 ქულა. II-V ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია), ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), ჟ. მაილსმა (ინგლისი) და ოსტატმა ხ. ბელონმა (ესპანეთი) — 6-6.



**იზმაილოვოში,** მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში, შენდება უნივერსალური სპორტული დარბაზი, რომელიც ოლიმპიადის დღეებში მიიღებს პლანეტის ყველაზე ძლიერ ადამიანებს — ძალოსნებს.

### ცურვა

დასავლეთ ბერლინში გუშინ დამთავრდა მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში.

ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა, როცა მოიგო 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობა. მისი დრო — 15.03,99 ევროპის რეკორდია და ძველ მიღწევას 2,46 წამით სჯობს.

ვაჟთა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა მოიგო მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ჯ. ბოტომმა — 54,30.

ქალთა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა ამერიკელმა ტ. კოლკინსმა — 2.09,87. ეს დრო გდრ-ის მოცურავე ა. პოლაკის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. იმავე კოლკინსმა თანაგუნდელებთან (ს. ელკინსი, ჯ. სტირკლი, ს. ვუდხედი) ერთად გაიმარჯვა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში. ამერიკელთა დრო — 3.43,43 — მსოფლიო რეკორდია.

### წყალბურთი

წყალბურთელთა გუნდების ფინალურ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენები უნგრელებს შეხვდნენ და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 4:4. იტალიელებმა მოუგეს იუგოსლაველებს — 6:5. მეორე მატჩში საბჭოთა გუნდმა წააგო იტალიელებთან — 4:5 და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ბრინჯაოს მედლების მოპოვებისთვის საბჭოთა წყალბურთელებს იუგოსლაველებთან შეხვედრაში ფრეც ყოფნით. ასევე იტალიელებს მსოფლიო ჩემპიონები რომ გახდნენ, ფრეც ყოფნით უნგრელებთან მატჩში.

### წყალში ხტომა

მეორე ოქროს მედალი მოიპოვა 19 წლის პენზელმა სტუდენტმა ი. კალინინამ. მან ყველას აჯობა 10-მეტრიან კოშკიდან წყალში ხტომაში — 412,71 ქულა. II ადგილზე გავიდა გდრ-ის სპორტსმენი მ. იაშკე — 384,09 ქულა, ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ამერიკელმა მ. ბრაილიმ — 364,74.

### მძლეოსნობა

**ხარკოვში** დამთავრდა საკავში... რო თასის გათამაშება, რომელში... ჩვენი ქვეყნის 200 ქალაქის საუ... კეთესო სპორტსმენები — ნახევარ... ფინალებში გამარჯვებული ათლე... ტები მონაწილეობდნენ.

ტურნირი კიევის ნაკრების ფა... რატესობით მიმდინარეობდა და... გამარჯვებაც მან მოიპოვა. ვაჟთა... შორის 100 მეტრზე იმარჯვა ოდე... სის დინამოელმა ვ. ბრონიკოვ... — 10,3. 1500 მეტრზე რბენ... მოიგო როსტოველმა ვ. პონო... მარიოვმა — 3.43,4. 110 მეტრზე... თარჯრბენში პირველი იყო მოსკო... ველი ა. კოროსტილიოვი — 13,... წამი.

**ფინეთის** ქალაქ ლოპიაში ფუ... ნასკნელი ოლიმპიადის ვერცხლი... მედალოსანმა ა. კალიომიაკიმ (ფი... ნეთი) თავისი ქვეყნის ახალი რეკო... რდი დაამყარა: ჭოკით 560 სმ-ზე... გადახტა.

### კალათბურთი

**ვილნიუსში** ი. გაგარინის ხსოვ... ნის თასის გათამაშებაში სსრ კავში... რის პირველმა ნაკრებმა გუნდმ... მოუგო ევროპის ჩემპიონატის ბრი... ნჯაოს პრიზიორებს — ჩეხოსლოვა... კიელებს — 94:81, ხოლო სსრ კავ... შირის მეორე ნაკრებმა — ლიტვე... გუნდს — 105:88.

**ვლადივოსტოკში** დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ზონის... თვის. უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს ვლადივოსტოკის „სპარტაკის" კალათბურთელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს ციმბირელებს — 103:85.

# ვინ არის ჩემპიონი?

**მსოფლიოს** აბსოლუტური ჩემპიონი ვბკ-ს (პროფესიული კრივის მსოფლიო საბჭო) ვერსიით კენ ნორტონი ლას-ვეგასში იცავდა თავის წოდებას მუჰამედ ალის ყოფილ სპარინგ-პარტნიორ ლარი ჰოლმსთან.

მსოფლიო ჩემპიონის წოდება ნორტონმა, რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელად მოიპოვა. როგორც ცნობილია, მ. ალისთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა ლეონ სპინქსი; სპინქსის მოგებას არავინ ელოდა და ბევრმა იგი სრულიად შემთხვევით მიიჩნია. ამიტომ სპინქსმა სასწრაფოდ დადო კონტრაქტი მ. ალისთან მატჩ-რევანშის თაობაზე და უარი განაცხადა შეხვედროდა № 1 პრეტენდენტად აღიარებულ კ. ნორტონს. ამის საპასუხოდ პროფესიული კრივის მსოფლიო საბჭომ ლ. სპინქსს ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონობა და ასეთად კ. ნორტონი აღიარა. მაგრამ კრივის მთელ რიგ ორგანიზაციებში მსოფლიო ჩემპიონად კვლავინდებურად ლ. სპინქსს აღიარებენ და მისი მომავალი შეხვედრა მ. ალისთან მსოფლიო პირველობის მატჩად მიაჩნიათ.

საინტერესოა, რომ როდესაც ვბკ-ს პრეზიდენტმა ჰ. სულეიმანმა კ. ნორტონი მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა, ჟურნალისტებმა მას მყისვე „ქაღალდის ჩემპიონი" დაარქვეს. „ქაღალდის ჩემპიონს" მალე მეტოქეც გამოუნახეს. ასეთად აღიარებულ იქნა ლ. ჰოლმსი, რომელმაც ე. შეივერსი დაამარცხა.

ნორტონ-ჰოლმსის მატჩს წინ დიდი აჟიოტაჟი უსწრებდა. კ. ნორტონმა მეტოქეს ძალზე დაბალი შეფასება მისცა და „მუჰამედ ალის იაფფასიანი ასლი" უწოდა. მაგრამ მატჩმა საწინააღმდეგო დაამტკიცა: 15-რაუნდიანი ბრძოლა მოიგო ლ. ჰოლმსმა და ვბკ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამასობაში კი მოახლოვდა სპინქს — ალის მატჩ-რევანში.

მაშ ვინ არის ჩემპიონი?

### კრივი

რედაქტორი ა. ბასილაია.

**თბილისის სახალხო განათლების განყოფილების ჩოღურეთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა** აცხადებს ბიჭებისა და გოგონების მიღებას.

სკოლაში ჩაირიცხებიან 1969, 1970, 1971 წლებში დაბადებული ბავშვები, რომლებიც ჩააბარებენ სპეციალურ საკონკურსო გამოცდებს.

გამოცდები გაიმართება 1-10 სექტემბერს თბილისის სპორტკომიტეტის ჩოღურეთის მოედნებზე (მარჯანიშვილის 29) 10-დან — 12, აგრეთვე 17-დან 19 საათამდე.

დირექცია.

### ფეხბურთი

# ჰოლანდიელები ემზადებიან

„ჰოლანდიის ნაკრები არსებითად ხელახლა შეიქმნება, რათა საწვრთნელი მატჩების სერიის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში წარმატებითი სტარტი აიღოს", — განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ი. ცვარტკრუისმა, რომელმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ პოსტზე შეცვალა ავსტრიელი ე. ჰაპელი.

ახალ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ჰოლანდიის ნაკრები უწინდებურად ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში და მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები მის სიძლიერეზე დიდ გავლენას არ მოახდენენ.

— არგენტინაში ჩვენ თავი გავიტანეთ კრუიფის გარეშე, — თქვა მან — და ევროპის ჩემპიონატში რენსენბრინკის არყოლასაც გავუძლებთ, თუკი მან არ გადაუხვია თავის სიტყვას და მართლა წავიდა ნაკრებიდან.

ჰოლანდიელთა მწვრთნელს განზრახული აქვს უახლოეს ხანში გამოაცხადოს ნაკრების კანდიდატთა სია.

 გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვნისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-74, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-67; მოსწავლე და ხოგლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.